მე-6 კლასი

სავარჯიშო 1. ტექსტის გააზრება - ყურადღებით წაიკითხეთ ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს: (30 ქულა)

მეფე ლავდიკიისა იყო ბრმა ცალის თვალითა. ჰყვა მხატვარი ხელოვანი და მიზეზსა ეძებდა მის მხატვრისასა. უბრძანა:

- მინდა მსგავსი ჩემი სახე დამიხატო!

თქვა გულსა შინა მხატვარმან: აჰა, მოვიდა დღე აღსასრულისა ჩემისაო, თუ ბრმა დავხატო, მომკლავს. ვით მკადრეო, და თუცა ორთვალი, მომკლავს: ოდეს არს მსგავსი ჩემიო?

მოიპოვა ესე ღონე: დახატა ირემი და მეფესა ხელთ თოფი მისცა, ბრმა თვალი დაუხუჭა და მიართვა მეფესა. ამ საქმეს მიზეზი ვერა ჰპოვა, და მორჩა მხატვარი იგი.

1. სად ხდება იგავ-არაკში გადმოცემული მოქმედება?
   ა. სიღნაღში ბ. ლავდიკიაში გ. ლაზიკაში
2. ვის შესახებ ვკითხულობთ ტექსტში: ,,იყო ბრმა ცალის თვალითა“?
   ა. მხატვრის ბ. მეფის გ. უფლისწულის
3. როგორ გესმით: ,,მიზეზსა ეძებდა მის მხატვრისასა“?
   ა. მხატვარი უყვარდა. ბ. უნდოდა რაიმე მიზეზი ეპოვა მხატვრისთვის. გ. სხვა მხატვარი უფრო მოსწონდა.
4. რა უბრძანა მეფემ მხატვარს?
   ა. მეფის პორტრეტის დახატვა. ბ. ნადირობის ეპოზოდის დახატვა. გ. ირმის სურათის დახატვა.
5. დაასრულეთ წინადადება: მეფის ბრძანება რომ გაიგო, მხატვარი ___ .
   ა. შეშფოთდა ბ. გადაიკარგა გ. გამხიარულდა
6. რა იყო მხატვრის გასაჭირი?
   ა. ვერ გადაეწყვიტა, მეფე ცალი თვალით დაეხატა, თუ ორივეთი.
   ბ. ფუნჯი დაჰკარგვოდა და ვერ პოულობდა.
   გ. მეფეს სხვა მხატვრის ნამუშევრები უფრო მოსწონდა.
7. როგორ აირიდა მეფის რისხვა მხატვარმა?
   ა. პორტრეტის დახატვაზე უარი თქვა.
   ბ. სურათზე ჩანდა, მეფე ნადირობდა, ირემს თოფს უმიზნებდა და ნატკენი თვალი დახუჭული ჰქონდა.
   გ. სურათზე ჩანდა, მეფე ირმის სილამაზით ტკბებოდა.
8. ნაწარმოების მიხედვით, მხატვარი არ არის:
   ა. გონიერი ბ. ზარმაცი გ. მოხერხებული
9. მოცემულთაგან რომელი შეიძლება იყოს იგავ-არაკის სათაური?
   ა. მეფე და ავსიტყვა ბ. მეფე და ირემი გ. მეფე და მხატვარი
10. რომელი ანდაზა შეიძლება შევუსაბამოთ ნაწარმოებს?
    ა. „მადლი ქენი, ქვაზე დადე, გაიარე, წინ დაგხვდება.“
    ბ. ,,ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა.“
    გ. ,,ახალი ცოცხი კარგად გვის.“

სავარჯიშო 2. ლექსიკა, ფრაზეოლოგია - შემოხაზეთ სწორი პასუხი: (30 ქულა)

11. ,,აღსასრულის დრო მოვიდა“ იგივეა, რაც
    ა. სიკვდილის დრო დადგა. ბ. აგვიანდება. გ.სწრაფად გადაადგილდება.
12. შემოხაზეთ სინონიმთა წყვილი:
    ა. ბრმა-თვალხილული ბ. ძალა-ღონე გ. დახატა-დაწერა
13. რომელი არ არის სიონიმთა წყვილი?
    ა. მეფე-ხელმწიფე ბ. მხატვარი-მწერალი გ. მსგავსი-მაგვარი

14. ,,თქვა გულსა შინა მხატვარმან: აჰა, მოვიდა დღე აღსასრულისა ჩემისაო.''
,,გულსა შინა“ იგივეა, რაც
ა. ჩურჩულით ბ. ხმამაღლა გ. გულში, თავისთვის
15. ,,ოდეს არს მსგავსი ჩემი“ იგივეა, რაც
ა. მას ჰგავს ბ. მე არ მგავს გ. მეფეს ჰგავს
16. ,,ამ საქმეს მიზეზი ვერა ჰპოვა, და მორჩა მხატვარი იგი.“
მოცემულ წინადადებაში ,,მორჩა“ იგივეა, რაც
ა. გამოჯანმრთელდა ბ. გადარჩა გ. დაასრულა
17. წინადადებაში ხაზგასმული ფრაზა შეცვალეთ სინონიმური ფრაზეოლოგიზმით:
,,მოიპოვა ესე ღონე: დახატა ირემი და მეფესა ხელთ თოფი მისცა, ბრმა თვალი დაუხუჭა და მიართვა მეფესა.“
ა. შეაგროვა ნახატები ბ. მოიძია ნახატები გ. ძალა მოიკრიბა
18. მოცემულთაგან რომელი სიტყვა შეიძლება იყოს განმარტებული შემდეგნაირად: ,,მხატვრობის სპეციალისტი ხელოვანი“?
ა. მხატვარი ბ. მეფე გ. ნახატი
19. ,,დახატა ირემი და მეფესა ხელთ თოფი მისცა.“
,,ხელთ“ ანუ
ა. ხელთან ბ. ხელში გ. ხელზე
20. შემოხაზეთ საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვათა წყვილი:
ა. მსგავსი, ერთნაირი ბ. მსგავსი, განსხვავებული გ. ბრმა, უსინათლო

სავარჯიშო 3. გრამატიკული ნაწილი - შემოხაზეთ სწორი პასუხი: (30 ქულა)

21. რომელია საკუთარი არსებითი სახელი?
ა. მხატვარი ბ. მეფე გ. ლავდიკია
22. ,,მეფე ლავდიკიისა იყო ბრმა ცალის თვალითა.“ რომელ ბრუნვაში დგას წინადადებაში ხაზგასმული სიტყვა?
ა. სახელობითში ბ. მოთხრობითში გ. მოქმედებითში
23. შემოხაზეთ სწორად დაწერილი არსებითი სახელი:
ა. მხატვრის ბ. ხელოვანისი გ. მეფესი
24. ,,აჰა, მოვიდა დღე აღსასრულისა ჩემისაო, თუ ბრმა დავხატო, მომკლავს.“
რა კითხვა დაესმის წინადადებასი ხაზგასმულ სიტყვას?
ა. რა? ბ. ვისი? გ. როგორი?
25. რომელ ზმნას დაესმის კითხვა: „რას იზამს“?
ა. თქვა ბ. მომკლავს გ. მოვიდა
26. რომელი სახელი დგას მრავლობით რიცხვში?
ა. სახე ბ. დღე გ. ბრმები
27. ,,დახატა ირემი და მეფესა ხელთ თოფი მისცა.“ რა კითხვა დაესმის წინადადებაში ხაზგასმულ სიტყვას?
ა. რა ქნა? ბ. რას შვრება? გ. რა ქნეს?
28. რომელ წინადადებაში არ არის დაშვებული შეცდომა?
ა. თუ ბრმას დავჰხატავ, მომკლავს.
ბ. ეს არ არის ჩემი მსგავსიო.
გ. დაჰხატა ირემი და მეფეს ხელში თოფი დააჭერინა.
29. შემოხაზეთ თხრობითი წინადადება:
ა. - მინდა მსგავსი ჩემი სახე დამიხატო!
ბ. ოდეს არს მსგავსი ჩემიო?
გ. ბრმა თვალი დაუხუჭა და მიართვა მეფესა.
30. რამდენ სიტყვას დაესმის კითხვა მოცემულ წინადადებაში? ,, ბრმა თვალი დაუხუჭა და მიართვა მეფესა.“
ა. ოთხს ბ. ხუთს გ. ერთს

სავარჯიშო 4. ზოგადი კითხვები - შემოხაზეთ სწორი პასუხი: (10 ქულა)

31. ვისი სიტყვებია: „სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა, სარწმუნოება. თუ ამათ არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავსცემთ შთამომავლობას? სხვისა არ ვიცით და ჩვენ კი მშობელ მამასაც არ დავუთმობდით ჩვენ მშობლიურ ენის მიწასთან გასწორებას. ესა საღმრთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს.''
    ა. ილია ჭავჭავაძის ბ. აკაკი წერეთლის გ. ვაჟა-ფშაველასი

32. ვინ არის ავტორი ნაწარმოებისა ,,შვლის ნუკრის ნაამბობი“?
    ა. ილია ჭავჭავაძე ბ. აკაკი წერეთელი გ. ვაჟა-ფშაველა

33. სად დაიბადა აკაკი წერეთელი?
    ა. ჩარგალში ბ. სხვიტორში გ. ყვარელში

34. ვის ეკუთვნის ლექსი ,,მოდიოდა ნინო მთებით“?
    ა. ანა კალანდაძეს ბ. მუხრან მაჭავარიანს გ. მურმან ლებანიძეს

35. დაასრულეთ ანდაზა: ,,ერთი თხილის გული ____.''
    ა. ძალიან ცოტააო ბ. ბევრს ვერ ეყოფაო გ. ცხრა ძმამ გაიყოო

ლიდერი კომპანიების შეკითხვები მომავალ ლიდერებს:

ბონუს დავალება - შემოხაზეთ სწორი პასუხი (10 ქულა)

1. **“ლიბერთის” კითხვა**
   დედამ თქვა, რომ <u>,,ლიბერთი ბანკის“</u> ფილიალები ოცდაოთხი საათის განმავლობაში მუშაობენ.“
   წინადადებაში ხაზგასმული სიტყვა არის:
   ა. საზოგადო არსებითი სახელი ბ. საკუთარი არსებითი სახელი გ. კრებითი სახელი

2. **“ბიუ-ბიუს” კითხვა**
   ,,<u>ბიუ-ბიუს</u>“ ქათმები ქართულ მიწაზე მოყვანილი სიმინდით და ხორბლით იკვებებიან.
   რომელ ბრუნვაში დგას წინადადებაში ხაზგასმული სიტყვა?
   ა. სახელობითში ბ. მიცემითში გ. ნათესაობითში

{ტესტის მაქსიმალური ქულაა 100. ბონუს დავალების ქულა ძირითადი დავალების ქულას დაემატება იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლე ძირითად ნაწილში ვერ დააგროვებს უმაღლეს ქულას.}